



შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
(კატალოგი)

თბილისი - 2017 წელი

სარჩევი

1. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ -----	3
2. საბაკალავრო პროგრამა - ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი -----	4
3. საბაკალავრო პროგრამა - ფინანსები -----	9
4. სამაგისტრო პროგრამა - ჯანდაცვის მენეჯმენტი -----	14
5. ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი (MINOR) საგანმანათლებლო პროგრამა -----	20
6. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა -----	25
7. საბაკალავრო პროგრამა - ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია -----	31
8. სამაგისტრო პროგრამა -ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია -----	36
9. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა --	41
10. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა -----	48
11. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა -----	54

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა განვლო დაარსებიდან დღემდე. მისი დამფუძნებელი და რექტორია – პროფესორი მარინა ფირცხალავა.

უნივერსიტეტის მისამართია : ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II -ის ქუჩა № 4.

ტელეფონები : 275-24-59 რექტორის მისაღები (ფაქსი)

275-25-20 დეკანატი

275-25-13 დაცვის სამსახური

ელ-ფოსტა : info@geosis.edu.ge,

ვებგვერდი: www.geosis.edu.ge

საკონტაქტო პირი: თამარ სოზიაშვილი, ტელ.275.25.20.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი თავის ძალისხმევას მიმართავს სწავლების, კვლევისა და კლინიკური საქმიანობის განვითარებისაკენ, აღჭურვილია კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, ლაბორატორიებით, თანამედროვე სტომატოლოგიური კლინიკით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნობრივი და ციფრული ფონდები, ელექტრონული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები, ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა « Open iblio”. ბიბლიოთეკა არის პროექტის – «ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eLFL ”- მონაწილეთა კონსორციუმის წევრი, რაც აძლევს მას საშუალებას გამოიყენოს ელექტრონული რესურსები: EBSCOHost (<http://search.epnet.com>), Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>), BioOne <http://WWW.bioone.org/>

საგანმანათლებლო პროგრამები

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, სტომატოლოგიის, მედიცინის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი

• საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი.

სპეციალობა : მენეჯმენტი.

სპეციალიზაცია: ჯანდაცვის მენეჯმენტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.

პროგრამის მიზანია ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ეცოდინებათ: ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და ძირითადი პრინციპები; ჯანდაცვის სისტემის საქმიანობის მენეჯმენტი; მარკეტინგის მენეჯმენტისა და კონკურენციის როლი და მნიშვნელობა სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარებისათვის; საფინანსო მენეჯმენტი, ფასწარმოქმნა და დაფინანსების წყაროები, ფინანსური საქმიანობის დაგეგმვის პრინციპები; ინფორმაციული სისტემების როლი ჯანდაცვის ობიექტის მენეჯმენტის ხარისხსა და ეფექტიანობაზე; პერსონალის მენეჯმენტი; საინვესტიციო და საინოვაციო მენეჯმენტი.

შეეძლებათ: ჯანდაცვის ობიექტებში კომპეტენტურად წარმართონ საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია და კონტროლი; განსაზღვრონ სამედიცინო ობიექტების ფინანსურ ურთიერთობათა თავისებურებები, დაფინანსების ფორმები, ძირითადი ტენდენციები და სამომავლო პერსპექტივები; მარკეტინგული მონაცემების საფუძველზე გამოთვალონ ჯანდაცვის ობიექტის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობები; პრობლემის გაანალიზება და მისი გადაჭრის გზების შემუშავება; მმართველური გადაწყვეტილების არგუმენტირებულად დასაბუთება და დაცვა; სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ვერბალური კომუნიკაცია; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ღირებულებათა სისტემის ფორმირების პროცესსა და მის დამკვიდრებაში მონაწილეობა.

სწავლის შედეგი:

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და ძირითადი პრინციპები.
- ჯანდაცვის სისტემის საქმიანობის მენეჯმენტი (საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლის ფუნქციები);
- ჯანდაცვის სისტემის საინვესტიციო მენეჯმენტი, ჯანდაცვის ობიექტების საინვესტიციო პოლიტიკა და ინვესტიციური რესურსების ფორმირება;
- ჯანმრთელობის დაზღვევისა და რისკების მენეჯმენტი;

- მარკეტინგის მენეჯმენტი ჯანდაცვაში. მარკეტინგის მნიშვნელობა სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარების საქმეში;
- ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი მართვის რაოდენობრივი, ხარისხობრივი, სტატისტიკური მაჩვენებლები და მეთოდები;
- საფინანსო მენეჯმენტი ჯანდაცვაში, ფასწარმოქმნა და დაფინანსების წყაროები, ფინანსური საქმიანობის დაგეგმვის პრინციპები;
- ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის ძირითადი პრინციპები, თეორიული და პრაქტიკული საკითხები;
- ჯანდაცვის სფეროს ობიექტებში საინოვაციო პროცესებისა და ინოვაციების დანერგვის მენეჯმენტი;
- რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის მართვა;
- სამედიცინო სოციოლოგიისა და ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები;
- პერსონალის მენეჯმენტი, პერსონალის მართვის სამსახურის ორგანიზება ჯანდაცვის ობიექტში.
- ინფორმაციული სისტემების როლი ჯანდაცვის ობიექტის მენეჯმენტის ხარისხსა და ეფექტიანობაზე;
- ჯანდაცვის სფეროს თვისებრივი კვლევების პრინციპები, სპეციფიკური ფუნქციები და მეთოდოლოგია.
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის რეგულირების იურიდიული საფუძვლები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სამედიცინო ობიექტების მენეჯმენტის ფუნქციებისა და მასზე მოქმედი მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენისა და ურთიერკავშირის განსაზღვრას;
- ჯანდაცვის ობიექტებში საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, მოტივაციასა და კონტროლს.
- საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანდაცვის ობიექტის მენეჯმენტის ეფექტიანობის განსაზღვრას;
- სამედიცინო ობიექტების ფინანსურ ურთიერთობათა თავისებურებების, დაფინანსების ფორმების, ძირითადი ტენდენციების და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრას;
- ჯანდაცვის ობიექტის საფინანსო და სადაზღვევო ურთიერთობების რეგულირებას;
- ჯანდაცვის ობიექტის სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით საფინანსო გეგმის შემუშავებას, ფინანსური ანგარიშების მომზადებას, ბიუჯეტისა და ბუღალტრული ბალანსის შედგენას;
- სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მარკეტინგული მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და მის საფუძველზე ჯანდაცვის ობიექტის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობების განსაზღვრას;
- რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი ობიექტის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დაანგარიშებას;
- ჯანდაცვის ობიექტის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის პერსონალის გამოყენების შეფასებასა და ეფექტიანობის განსაზღვრას.
- ჯანდაცვის ობიექტში ინოვაციების დანერგვის მართვას.

3. დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ლიტერატურული წყაროების და ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, აზრის სწორად შეჯერება, საკუთარი პოზიციის გამოხატვა, შეფასება და დასკვნის გაკეთება.
- ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობის კონკრეტული სიტუაციების ანალიზი და შეფასება;
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, მენეჯერული საქმიანობის ეფექტიანობის ამადლების მიზნით დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;
- პრობლემის გაანალიზება და მისი გადაჭრის გზების შემუშავება;
- მმართველური გადაწყვეტილების არგუმენტირებულად დასაბუთება და დაცვა.

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ჯანდაცვის ობიექტის საქმიანობის მართვასთან დაკავშირებული ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების მომზადება, საქმიანი პრეზენტაციების, დისკუსიებისა და მოლაპარაკების წარმოება.
- ეფექტიანი კომუნიკაცია სამედიცინო პერსონალთან;
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე ვერბალური კომუნიკაცია.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტზე საკუთარი ცოდნისა და უნარების შეფასების შედეგად გამოიმუშაოს ახალი ცოდნის მიღების მოტივაცია;
- საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა, სწავლის საჭიროების განსაზღვრა გარკვეული მიმართულებით.
- მიღებული ცოდნა გამოიყენოს პროფესიული საქმიანობის წარმართვის პროცესში.

6. ღირებულებები

- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის მნიშვნელობა ჯანდაცვის ობიექტებში საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის საქმეში.
- ეკონომიკური კანონების და თეორიების, ფასწარმოქმნის მექანიზმისა და მისი ფუნქციონირების მნიშვნელობა ჯანდაცვის ობიექტების დონეზე ეკონომიკისა და მართვის რეგულირებისთვის.
- ჯანდაცვის სისტემაში მარკეტინგის მენეჯმენტისა და კონკურენციის როლი და მნიშვნელობა სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარებისათვის.
- რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი ობიექტების მენეჯმენტის ეფექტიანობა მოსახლეობის დასვენებისა და ჯანმრთელობის აღდგენა/გაჯანსაღების საქმეში;
- ჯანდაცვის ობიექტის პერსონალის მოტივაცია და საერთო მიზნების მისაღწევად მათი ორგანიზება.

- ფინანსების ეფექტიანად გამოყენებისა და მენეჯმენტის როლი ჯანდაცვის სისტემის განვითარების საქმეში.
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ღირებულებათა სისტემის ფორმირების პროცესსა და მის დამკვიდრებაში მონაწილეობა.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: საბაკალავრო პროგრამა არის 4 წლიანი, შედგება რვა სემესტრისაგან. სწავლება ოთხი წლის განმავლობაში მოიცავს 240 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტი, წელიწადში 60 კრედიტი.

შეფასების სისტემა: სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (**A**) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91%–100%;
- ა.ბ) (**B**) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) (**C**) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (**D**) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალ. შეფასების 61-70%;
- ა.ე) (**E**) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (**FX**) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (**F**) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასებების 60 ქულიდან 40 ქულა განსაზღვრულია **შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:**

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია
- ბლიც გამოკითხვა
- ქვიზი
- ქეისი
- ანალიზი
- რეფერატი
- პრაქტიკული სამუშაო
- ბუღალტრული გატარებების გაკეთება
- სავარჯიშოების შემოწმება
- პროექტის შესრულება და პრეზენტაცია
- დასწრება, აქტიურობა პრაქტიკაზე
- პრაქტიკის დღიურის წარმოება

შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. 20 ქულა განსაზღვრულია შუალედურ გამოცდაზე.

შუალედური გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

დასკვნითი გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება:

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა -60 ქულა;

- საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა- 40 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, საბაკალავრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 21 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით.

საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

შეფასების კომპონენტები:

1. **საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა** - ფასდება 60 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- თემის სიახლე და აქტუალურობა - 10 ქულა;
- საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა;
- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;
- პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა -20 ქულა;
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

2. **საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა** - ფასდება 40 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება -10 ქულა;
- პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა;
- პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;
- კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით. საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

საბაკალავრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა. საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი და საბაკალავრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს.

• საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფინანსები

მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება

კოდი: 0204

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ფინანსების ბაკალავრი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მისიიდან გამომდინარე, ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით აღჭურვილი ფინანსისტის მომზადება, რომელსაც ექნება ფინანსების თანამედროვე კონცეფციების, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სისტემების მართვისა და რეგულირების, ფინანსური ბერკეტების, ფინანსური ბაზრებისა და ინსტრუმენტების კომპლექსური საკითხების ცოდნა. კურსდამთავრებული საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს: ფინანსების სფეროში მიმდინარე პროცესების გაცნობიერებას, გაანალიზებას, შეფასებასა და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრას, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებას და ფინანსური სტრატეგიის შემუშავებას; ხელს შეუწყობს სხვადასხვა სახის ინოვაციების დანერგვას ორგანიზაციების მართვაში; პროფესიული საქმიანობითა და პიროვნული პასუხისმგებლობით წარმატებით შეძლებს სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან ადმინისტრირებას.

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შესაძლებლობა ექნება სწავლა განაგრძოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლების ფორმატი, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური ადამიანური რესურსი – აკადემიური და დამხმარე პერსონალი, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და წიგნადი და არაწიგნადი ფონდები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევადობას.

სწავლის შედეგები : ფინანსების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

ზოგადი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება.

სტუდენტს ეცოდინება: ფუნქციური წერის ელემენტები; საქმიანი დოკუმენტების შექმნის პრინციპები; ადამიანის ფსიქიკის თავისებურებანი, ადამიანის ქცევისა და ადამიანთაშორის ურთიერთობების კანონზომიერებანი. თანამედროვე საოფისე პროგრამები. ექნება სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სტუდენტი შესძლებს:

აკადემიური წერის ძირითადი პრინციპების გამოყენებას; საქმიანი ქალაქდების შექმნის პრინციპების გამოყენებას; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას; ცნობიერისა და არაცნობიერის მოტივაციის მეთოდების გამოყენებას.

შეძლებს სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დასკვნის უნარი:

სტუდენტი შესძლებს: ტექსტობრივი მასალის დამუშავებას, ანალიზს და აქედან გამომდინარე, დასკვნების ჩამოყალიბებას; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემთა შეგროვებას და განმარტებას, შემეცნებითი პროცესების (აზროვნების) თავისებურებების ანალიზს, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს. სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას;

კომუნიკაციის უნარი:

სტუდენტი შესძლებს: ქართულ ენაზე წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, პროფესიული სფეროს ფარგლებში; იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

სწავლის უნარი :

სტუდენტი შესძლებს: საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას;

ღირებულებები:

გაცნობიერებული ექნება სულიერი სამყაროს გაგების ფორმები; ცნობიერების მთავარი თავისებურებანი.

შესძლებს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვას.

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება:

სტუდენტს ეცოდინება: ეკონომიკის ძირითადი პრინციპები; ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმები; მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი; სახელმწიფოს ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები; ღია ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები. სტატისტიკის ძირითადი პრინციპები; ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესებში სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების თანამედროვე მეთოდები; ბიზნესის არსი და საწარმოთა მართვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები; კორპორაციული კულტურისა და ეთიკის ძირითადი პრინციპები. ბიზნესის სამართლის საფუძვლები და ბიზნესურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები; მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი ასპექტები; მარკეტინგის კონცეფციები და მარკეტინგული კვლევის მეთოდები; ბუღალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი და ამოცანები; ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და ბუღალტრული და ფინანსური პროცედურების წარმოების ზოგადი წესები; ფინანსების ძირითადი ცნებები; საფინანსო სისტემის რგოლები და ფინანსური ურთიერთობები; ფულის მიმოქცევისა და კრედიტის არსი; საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები; ფინანსური სისტემის და ფინანსური ბაზრების არსი და განვითარების თანამედროვე მექანიზმები; საბანკო საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები; საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები; კორპორაციათა საფინანსო პოლიტიკა; საჯარო ფინანსების ძირითადი პრინციპები; საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები; სადაზღვევო სფეროს თეორიული ასპექტები; რისკების მართვის ინსტრუმენტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სტუდენტი შესძლებს: ბიზნესის ამოცანების ამოხსნას მათემატიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით; საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგად - თეორიული პრობლემების ინდენტიფიცირებას და შეფასებას; მაკროეკონომიკური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების პრაქტიკულ გამოყენებას; სტატისტიკურ მონაცემთა თავმოყრას და დაჯგუფებას; სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას ეკონომიკასა და ბიზნესში; ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ბიზნესის ადგილისა და როლის შეფასებას; ბიზნესის როლის დაკავშირებას მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებთან; კეთილსინდისიერი და ეფექტური ბიზნეს საქმიანობის განხორციელებას;

კორპორაციულ თანამრომლობას ეთიკური ნორმების დაცვით; სამართლის შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით, ბიზნეს ურთიერთობებში მონაწილეობას; სამართლებრივი პრობლემების მოგვარებას და პროფესიული საქმიანობის განხორციელებას; მარკეტინგული კვლევის მეთოდების გამოყენებას და კონკურენტულ გარემოში კომპანიის მარკეტინგული საქმიანობის ანალიზს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებას; ბიუჯეტის ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზს; ფინანსებისა და გადასახადების მართვას; ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ინფლაციური პროცესების ანალიზს, პროგნოზირებას და დაგეგმვას; ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის დამახასიათებელი რისკების კლასიფიკაციას; ფინანსური ბაზრებისა და საბანკო რისკების ძირითადი სახეების შეფასებას; საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციების, კომერციული აქტივებისა და პასივების კლასიფიკაციას; ბანკების ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის და მათზე მოქმედი ფაქტორების ანალიზს და შეფასებას; კორპორაციათა კაპიტალის ფორმირების, რეალიზაციისა და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრას; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური სიტუაციისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის მუხლების დაკავშირებას; საგადასახადო ანგარიშგების ფორმების, საგადასახადო დეკლარაციების მომზადებას; სადაზღვევო ობიექტების შეფასებას და სწორი პაკეტის მისადაგებას; საინვესტიციო ინსტრუმენტების შერჩევას და პორტფელის შედგენას; თეორიული კონცეფციების პროფესიულ გარემოში გადატანას.

დასკვნის უნარი:

სტუდენტი შესძლებს: მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ბიზნეს ამოცანების ამოხსნას და შესაბამისი დასკვნის გაკეთებას; მიკრო და მაკრო დონეზე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების დასმას და პასუხის მომზადებას; სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების საფუძველზე დასკვნების გაკეთებას; ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას; კორპორაციულ კულტურაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის ანალიზს და შეფასებას; სამართლებრივი პრობლემების ანალიზს; ბუღალტრული შედეგების ფორმულირებას და დასკვნების გამოტანას; ფინანსების სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებას; ბანკების ლიკვიდურობის შეფასებას და დასკვნების გაკეთებას; ფასიანი ქაღალდების ანალიზს და ფინანსურ ბაზრებზე ტენდენციების პროგნოზირებას; წინასწარ განსაზღვრული მიტიტებების შესაბამისად საინვესტიციო პორტფელის და ზოგადად ეკონომიკური რისკების შეფასებას და დასკვნის საფუძველზე შესაბამისი სტრატეგიული მიმართულებების დაგეგმვას.

კომუნიკაციის უნარი:

სტუდენტი შესძლებს:

მშობლიურ ენაზე - კვლევის მონაცემთა შეგროვების მიზნით, ბენეფიციარებთან უშუალო და დისტანციურ კომუნიკაციას; ფინანსების სფეროში საქმიანობისას არსებული პრობლემების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და წარდგენას; საკუთარი აზრის პრეზენტაციას; კომუნიკაციის დამყარებას, როგორც ორგანიზაციის პერსონალთან, ისე მომხმარებელთან და საზოგადოებასთან; ბიზნეს პარტნიორებთან კომუნიკაციის პროცესის დაგეგმვას და წარმართვას.

ინგლისურ ენაზე - შეუძლია გამოიყენოს B2.2 დონეზე 4 ძირითადი ენობრივი უნარ-ჩვევა: კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი.

კითხვა: B2.2 დონის შესაბამისი მხატვრული, ინფორმაციული და სხვა ხასიათის ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გაგება; კითხვის სხვადასხვა სახის ფლობა: ჩუმი კითხვა, სწრაფი კითხვა, გაცნობითი, შერჩევითი და ინტენსიური კითხვა; გარკვევით და გამართულად ნაცნობი ტექსტის წაკითხვა შესაბამისი კითხვის წესებისა და ინტონაციის დაცვით. ასევე ბიზნეს-ტექსტების კითხვა გარკვევით და გამართულად.

წერა: ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად წერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, საქმიანი მიმოწერის ჩვევების ჩამოყალიბება (დაწეროს ოფიციალური წერილი, თხოვლობა და ესე). სტუდენტი შეძლებს წერისას გამოიყენოს ნასწავლი ლექსიკურ ერთეულები, დარგობრივი ტერმინები, და ფორმალური კონსტრუქციები, ტექსტის ამა თუ იმ სახეობის სტრუქტურული მახასიათებლები.

მოსმენა: აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგება, ყურადღების კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესება, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგება და მისი შინაარსის გადმოცემა. უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის ყოფით და ბიზნეს თემებზე მიმდინარე ინტერაქციის გაგება (დიალოგი, ინტერვიუ); ზოგადი შინაარსის გასაგებად ნაცნობ ლექსიკაზე დაყრდნობით ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი, საუბრის თემა.

საუბარი: შეუძლია სხვადასხვა კომპლექსური ზოგადი და დარგობრივი თემატიკის ირგვლივ ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით. საკუთარი მოსაზრების გამოხატვა განვლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით. დიალოგის გამართვა, როლური გათამაშება, ბიზნესთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა-კამათი (მონოლოგური/დიალოგური), მოცემულ სიტუაციაზე მოთხოვნის აგება, სურათის აღწერა და აქტუალურ ბიზნეს-თემებზე პრეზენტაციის გაკეთება.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, მსოფლიო გლობალური ქსელის გამოყენება.

სწავლის უნარი:

სტუდენტი შესძლებს:

ბიზნესის და ფინანსების სფეროში, ბაზართან, კორპორაციებთან, მენეჯმენტსა და მარკეტინგთან, ბუღალტერიასთან, გადასახებთან, დაზღვევასა და ბიუჯეტთან, ინვესტიციებსა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ საკითხებზე ლიტერატურის მოძიებას, დამუშავებას და შემდგომი ცოდნის საჭიროებების დადგენას.

ღირებულებები:

სტუდენტს გაცნობიერებული ექნება: საბაზრო ეკონომიკის უპირატესობები მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკასთან შედარებით. ბიზნეს გარემოს უსაფრთხოების არსი. ბიზნეს ურთიერთობებში ადამიანური ფაქტორის, ზნეობრივი პრინციპებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. სამართლიანობის, ბიზნეს სუბიექტების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის სამართლებრივი პრიორიტეტები. თანამშრომელთა მოტივაციის არსი; მომხმარებლის მოთხოვნილებების პატივისცემის მნიშვნელობა;

შესძლებს: ბიზნესის ოპერაციების განხორციელებისას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას და ეთიკური ნორმების დაცვას.

შეფასების სისტემა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (21.12.2004) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

❖ **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91%–100%;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90 %;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80 %;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 %.

❖ **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე

ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ ლ10 დღისა.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სემესტრულ შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამი და შეადგენს 100 ქულას, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- ❖ **შუალედური შეფასებები - 60 ქულა.** შუალედური შეფასებების ქულათა ჯამს სემესტრის განმავლობაში სტუდენტი შემდეგ კომპონენტებში დააგროვებს:
 - **აქტივობა 40 ქულა** - სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესრულებული სამუშაო, რეფერატის მომზადება, პრეზენტაცია, ქვიზი და სხვ., რომელიც კონკრეტდება სილაბუსში;
 - **შუალედური გამოცდა -20 ქულა** - სტუდენტის მიერ შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შუალედური შეფასებაა, რომელიც ტარდება სემესტრში ერთხელ, მე-8 კვირაში. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში (კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი შესაბამის სილაბუსში). პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის შუალედური გამოცდისათვის შესაძლებელია განსხვავებული შეფასების ქულების დადგენა;

შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით.

- ❖ **დასკვნითი გამოცდა ფასდება - 40 ქულით.** დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.
 - ✓ დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვილი აქვს არანაკლებ 21 ქულისა;
 - ✓ დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 14 ქულა და მეტი;
 - ✓ თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს 41-50 ქულას, სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
 - ✓ თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით;
 - ✓ დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

დამატებითი გამოცდა

- ✓ სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ;
- ✓ უარყოფითი სემესტრული შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ხელმეორედ გაივლის სასწავლო კურსს, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან.

• სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ჯანდაცვის მენეჯმენტი.

სპეციალობა: მენეჯმენტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მომზადება, რომელსაც სიღრმისეულ და სისტემურ დონეზე ეცოდინება: ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი და გააცნობიერებს ჯანდაცვის მენეჯმენტის პრობლემების გადაჭრის გზებს; ჯანდაცვის ობიექტებში ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; თანამედროვე სტილის მენეჯმენტის ფუნქციებისა და მეთოდების გამოყენების შესაძლებლობები; ჯანდაცვის მენეჯმენტის მეცნიერული კვლევის თეორიები, ტექნოლოგიები და მეთოდები; ჯანდაცვის ობიექტების უმაღლესი მმართველობა და სტრატეგია; საფინანსო მენეჯმენტი და ინოვაციური პროცესების მართვა.

შეეძლება: ეფექტიანად და კრეატიულად გამოიყენოს სამედიცინო ობიექტების ეკონომიკისა და მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები, იმოქმედოს გაუთვალისწინებელ და მრავალფეროვან გარემოში; დანერგოს უმაღლესი მმართველობის მენეჯმენტი და გაითვალისწინოს ობიექტებზე მოქმედი შიგა და გარე ფაქტორები; ეფექტიანად წარმართოს მენეჯმენტი და ინოვაციური პროცესები; ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობაზე რთული, არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გააკეთოს არგუმენტირებული დასკვნა; გაანალიზოს ჯანდაცვის სისტემის ნებისმიერი ობიექტის უმაღლესი მმართველობის საქმიანობა; ჯანდაცვის მენეჯმენტზე დასკვნებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით ეფექტიანი კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე; საკუთარი სწავლის პროცესის სტრატეგიული დაგეგმვა, შერჩეული მიმართულებით სწავლის საჭიროების განსაზღვრა; შეაფასოს ჯანდაცვის მენეჯმენტის ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულება და წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

შეეძლება კომპეტენტურად წარმართოს მენეჯერული საქმიანობა ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა სახისა და პროფილის სამკურნალო-პროფილაქტიკურ, გამაჯანსაღებელ და რეკრეაციულ ობიექტებში, ფარმაცევტულ და სადაზღვევო კომპანიებში, ნებისმიერი მიმართულებისა და საქმიანობის კომპანიებში.

სწავლის შედეგი :

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- ჯანდაცვის ობიექტების ეკონომიკისა და მენეჯმენტის არსი, მისი მნიშვნელობა, მეთოდები, პრინციპები და ფუნქციები. საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და

კონტროლის მნიშვნელობა და გააცნობიერებს ჯანდაცვის მენეჯმენტის პრობლემების გადაჭრის გზებს.

- ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობის ორგანიზება ღრმად და სისტემურად;
- ჯანდაცვის ობიექტებში ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მისი პრინციპები და არსი, პერსონალის ხარისხის ამაღლება, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მნიშვნელობა ჯანდაცვის ობიექტების ამოცანების გათვალისწინებით.
- ბიზნესის მნიშვნელობა ჯანდაცვის ობიექტებში, მისი ფუნქციების მართვის თავისებურებები და მეთოდები.
- თანამედროვე სტილის მენეჯმენტის ფუნქციები, მეთოდები, მათი გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობები ჯანდაცვის სისტემაში.
- ჯანდაცვის მენეჯმენტის მეცნიერული კვლევის თეორიები, თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები;
- ჯანდაცვის სისტემაში საბაზრო ეკონომიკის მოდელების განვითარების ტენდენციები, მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე.
- ჯანდაცვის ობიექტების უმაღლესი მმართველობის არსი, უმაღლესი ტოპმენეჯერების საქმიანობის მნიშვნელობა, სტრატეგია და განვითარება.
- ჯანდაცვის ობიექტებში ფინანსების განაწილება და გამოყენების თავისებურებები, სამედიცინო მომსახურების ტარიფების განსაზღვრა, საგადასახადო პოლიტიკასა და ბიუჯეტთან ურთიერთობები.
- ჯანდაცვის ობიექტებში საფინანსო სამსახურის ორგანიზაცია და საფინანსო საქმიანობის მომზადებული კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. სამედიცინო მომსახურებაში ფასწარმოქმნის პოლიტიკა, საფინანსო მენეჯმენტი და დაფინანსების წყაროები.
- ჯანდაცვის მართვის პრობლემები, პროგნოზირება და განვითარების სტრატეგია. მართვის მეთოდები, პრინციპები და თავისებურებები ჯანდაცვის განვითარების საქმეში.
- დანახარჯების მიხედვით მენეჯერული საქმიანობის შეფასება და ეფექტიანობის განსაზღვრა.
- ჯანდაცვის ობიექტებში ინოვაციური პროცესების მართვა და ტექნოლოგიების დანერგვის მენეჯმენტი.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- გამოიყენოს მენეჯმენტის თანამედროვე სახეები, ხელი შეუწყოს ჯანდაცვის ობიექტების ფუნქციონირების სრულყოფასა და ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას;
- ჯანდაცვის ობიექტში პერსონალის (სამედიცინო, მენეჯერული და დამხმარე) შერჩევას, მიღებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, განაწილების საქმიანობის ორგანიზებას, წარმართვას და დაგეგმვას.
- გამოიყენოს ჯანდაცვის ობიექტებში ბიზნესის მართვის მეთოდები, იმოქმედოს გაუთვალისწინებელ და მრავალფეროვან გარემოში. დამოუკიდებლად გაუწიოს ხელმძღვანელობა ბიზნესის განვითარებას ჯანდაცვის ობიექტებში.
- კომპლექსურად გამოიყენოს ემპირული კვლევების ახალი სპეციფიკური ტექნოლოგიები და მეთოდები;
- გამოიყენოს სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებული, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი მოდელები ჯანდაცვაში.

- ეფექტიანად და კრეატიულად გამოიყენოს სამედიცინო ობიექტების ეკონომიკისა და მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები - დაგეგმვა, ორგანიზება, კონტროლი და მოტივაცია.
- დანერგოს უმაღლესი მმართველობის მენეჯმენტი და გაითვალისწინოს ობიექტებზე მოქმედი შიგა და გარე ფაქტორები და მიაღწიოს ჯანდაცვის ობიექტებში წარმატებული მენეჯმენტის განვითარებას.
- კონკრეტულად გადაწყვიტოს ჯანდაცვის ობიექტის კომპლექსური პრობლემები ფასწარმოქმნის პოლიტიკის მიმართულებით.
- დაამუშაოს საქმიანობის დაფინანსების გეგმა და უხელმძღვანელოს მის შესრულებას.
- ჯანდაცვის მართვის სტრატეგიაზე ამოცანების დაგეგმვას და მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში მათ განხორციელებას.
- სასიცოცხლოდ აუცილებელი სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის მიღწევას;
- ჯანდაცვის ობიექტებში ინოვაციური პროცესების მართვასა და ინოვაციური პოტენციალის შეფასებას.

3. დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ჯანდაცვის ობიექტის მენეჯმენტის ხარისხის შეფასებაზე დასკვნის გაკეთებას;
- ჯანდაცვის ობიექტის პერსონალის საქმიანობაზე არასრული ინფორმაციის პირობებში დასაბუთებული დასკვნების გაკეთებას.
- სამედიცინო ობიექტების ბიზნესის მართვის შესახებ სიტუაციის გაანალიზებას.
- მენეჯმენტის თანამედროვე სტილის გამოყენებაზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას.
- საბაზრო ეკონომიკის შერჩეული მოდელის პირობებში ჯანდაცვის ობიექტების ფუნქციონირების დასაბუთებას.
- ჯანდაცვის სისტემის ნებისმიერი ობიექტის უმაღლესი მმართველობის საქმიანობის გაანალიზება-გაკონტროლებას.
- ჯანდაცვის ობიექტებში საფინანსო საქმიანობის ორგანიზების ეფექტიანობის დასაბუთებას.
- ჯანდაცვის სისტემის მართვის განვითარების სტრატეგიის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გაკეთებას.
- მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების სფეროში არსებული მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ანალიზისა და შეფასებას.
- ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობაზე რთული, არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის გაკეთებას;
- უახლესი თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ინოვაციურ სინთეზს.

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ჯანდაცვის მენეჯმენტზე დასკვნებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით ეფექტიან კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე.
- ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობის სხვადასხვა სიტუაციებსა და განსხვავებულ საკითხებზე განახორციელოს წერილობით და არგუმენტირებული ზეპირი კომუნიკაცია.
- ჯანდაცვის ობიექტზე მომუშავე პერსონალთან კომუნიკაციას სამედიცინო ობიექტების ეკონომიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებზე (დაგეგმვა, ორგანიზაცია, ადმინისტრირება, კონტროლი).
- ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას;
- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას;
- საკუთარი ცოდნისა და უნარების კრიტიკული შეფასებისა და სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად მოწინავე მიდგომებისა და ახალი ცოდნის მიღების მოტივაციას;
- საკუთარი სწავლის პროცესის სტრატეგიულ დაგეგმვას, სწავლის საჭიროების განსაზღვრას შერჩეული მიმართულებით.

6. ღირებულებები

- ჯანდაცვის განვითარების საქმეში მენეჯმენტის მნიშვნელობის გაცნობიერება;
- ჯანდაცვის ობიექტებში მენეჯმენტის სტრატეგიაზე საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება.
- საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა მენეჯმენტის თანამედროვე სტილის ფუნქციებისა და მეთოდების გამოყენებით.
- ჯანდაცვის სისტემაში სამედიცინო მომსახურების ახალი მეთოდების შემუშავება და მათი სამედიცინო მომსახურების ბაზარზე დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ჯანდაცვის სისტემაში მენეჯმენტის ხარისხის ამაღლების მიზნით ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების დანერგვა.
- საფინანსო მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა სამედიცინო მომსახურებაზე ეფექტიანი ტარიფების დადგენის საქმეში.
- ჯანდაცვის სისტემაში მართვის დელეგირების ეფექტიანობა.
- ჯანდაცვის სისტემაში საქმიანობის განხორციელება პროფესიული ღირებულებებისა და ეთიკური ნორმების ფარგლებში.
- ჯანდაცვის მენეჯმენტის ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: სამაგისტრო პროგრამა არის 2 წლიანი, შედგება ოთხი სემესტრისაგან. სწავლება ორი წლის განმავლობაში მოიცავს 120 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტი, წელიწადში 60 კრედიტი.

შეფასების სისტემა: მაგისტრანტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის

ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

შეფასების სისტემა უშვებს:

1. ა)ხუთი სახის დადებით შეფასებას;

- ა.ა) A – ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) B– ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%
- ა.გ) C– კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%
- ა.დ) D– დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%
- ა.ე) E– საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

FX – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

F– ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასებების 60 ქულიდან 40 ქულა განსაზღვრულია **შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:**

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია
- ბლიც გამოკითხვა
- ქვიზი
- ანალიზი;
- დისკუსია;
- დასწრება, აქტიურობა პრაქტიკაზე;
- პრაქტიკის დღიურის წარმოება.

შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

20 ქულა განსაზღვრულის შუალედურ გამოცდაზე.

შუალედური გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

დასკვნითი გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);

დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს (61-70 ქულა);

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო (41-50 ქულა);

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სამაგისტრო ნაშრომი გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად - 5 ქულა;
- კვლევის აქტუალურობა, მიზანი, პრობლემატიკა -20 ქულა;
- კვლევის შედეგები და არგუმენტირებული დასკვნები -10 ქულა;
- კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზის და კვლევის უნარი -20 ქულა;
- გამოყენებული წყაროები, მათი სინთეზის უნარი და კვლევის ადეკვატური მეთოდები- 15 ქულა;
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (ნაშრომის წარდგენა, ცოდნისა და კომპეტენციების წარმოჩენა) - 20 ქულა;
- შეკითხვებზე, შენიშვნებზე გაცემული პასუხები - 10 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტს შესრულებულად ჩათვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. მას ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს.

ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი (MINOR) საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება:	ჯანდაცვის მენეჯმენტი
მიმართულება:	ბიზნესის ადმინისტრირება
სწავლების საფეხური:	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	აკადემიური
პროგრამის მოცულობა:	60 კრედიტი

პროგრამაზე დაშვების (ჩარიცხვის) წინაპირობა

ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი (MINOR) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ნებისმიერი სტუდენტი, რომლის ძირითადი სპეციალობა იძლევა ამის საშუალებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი (MINOR) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროგრამის კურსდამთავრებულმა იცოდეს მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები; ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა; სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტები ჯანდაცვის სფეროში; ბიზნესის არსი და საკუთრების სტრუქტურა; ეკონომიკური პოლიტიკა და კონკურენცია ბიზნესში; მენეჯმენტის თავისებურებები ბიზნესში; მენეჯერული ხარჯების შემადგენლობა ჯანდაცვის სიტემაში; სამედიცინო მომსახურებაზე ფასწარმოქმნის კონტროლის მექანიზმები; საავადმყოფოების კლასიფიკაცია და მათი ფუნქციები. **გაცნობიეროს:** ჯანდაცვის მენეჯმენტის სახეობათა თავისებურებები; ჯანდაცვის სისტემის ობიექტების მისია და მიზნები; ინოვაციური მენეჯმენტის არსი და ამოცანები; ჯანდაცვის ფინანსების არსი და მნიშვნელობა. რათა მან **შესძლოს:** ემპირიული მასალის ანალიზი და ინტერპრეტაცია; კვლევის მეთოდებისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრა და დასაბუთება. ჯანდაცვის სიტემაში ლიცენზირების სტანდარტების შემუშავება და დაცვა; ჯანდაცვის სფეროს მართვა და ორგანიზებაში პრაქტიკული საქმიანობა; ხარჯების, მოგებისა და რენტაბელობის კალკულაცია; მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზება და ოჯახის ექიმის საქმიანობის მართვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში; ჯანდაცვის ობიექტების მიზნების კლასიფიკაცია; ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი; ფინანსური მდგომარეობის ობიექტთაშორის ანალიზის მეთოდების გამოყენება.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და სტრუქტურა

ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი (MINOR) საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს, 1 (ECTS) კრედიტი უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიულ საათის განმავლობაში და მოიცავს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს და მოიცავს: ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

სწავლის შედეგები/კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტს ეცოდინება: მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები; ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა; სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტები ჯანდაცვის სფეროში; ბიზნესის არსი და საკუთრების სტრუქტურა; ეკონომიკური პოლიტიკა და კონკურენცია ბიზნესში; მენეჯმენტის თავისებურებები ბიზნესში; მენეჯერული ხარჯების შემადგენლობა ჯანდაცვის

სიტემაში; სამედიცინო მომსახურებაზე ფასწარმოქმნის კონტროლის მექანიზმები; საავადმყოფოების კლასიფიკაცია და მათი ფუნქციები;

გაცნობიერებული ექნება: ჯანდაცვის მენეჯმენტის სახეობათა თავისებურებები;

ჯანდაცვის სისტემის ობიექტების მისია და მიზნები; ინოვაციური მენეჯმენტის არსი და ამოცანები; ჯანდაცვის ფინანსების არსი და მნიშვნელობა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტი შესძლებს: ემპირიული მასალის ანალიზსა და ინტერპრეტაციას; კვლევის მეთოდებისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატურ განსაზღვრას და დასაბუთებას. ჯანდაცვის სიტემაში ლიცენზირების სტანდარტების შემუშავებას და დაცვას; ჯანდაცვის სფეროს მართვასა და ორგანიზებაში პრაქტიკულ საქმიანობას; ხარჯების, მოგებისა და რენტაბელობის კალკულაციას; მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას და ოჯახის ექიმის საქმიანობის მართვას თავისი კომპეტენციის ფარგლებში; ჯანდაცვის ობიექტების მიზნების კლასიფიკაციას; ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზს; ფინანსური მდგომარეობის ობიექტთაშორის ანალიზის მეთოდების გამოყენებას.

დასკვნის უნარი:

სტუდენტი შესძლებს: საკვლევი საკითხის მკაფიოდ იდენტიფიცირებას და ანალიზს;

საქართველოს ჯანდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტების ანალიზს და შესაბამისი დასკვნების გამოტანას; ბიზნესში მოგებისა და რენტაბელობის ანალიზს და შეფასებას; ბიზნესზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას; თვითღირებულების ანალიზს და მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, შესაბამისი დასკვნის გაკეთებას; შრომისნაყოფიერების გამოთვლას და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთებას; საინოვაციო პროექტების შეფასებას და ანალიზს.

სწავლის უნარი.

სტუდენტი შესძლებს: ჯანდაცვის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიებას და საკუთარი სწავლის საჭიროებების დადგენას; ბიზნესთან დაკავშირებული სასწავლო მასალის მოძიებას; კონკურენტულობის ამაღლების მიზნით, სწავლის მიმართულებების დადგენას და დაგეგმვას; ინოვაციური პროცესების შესწავლის მიზნით, საჭირო ლიტერატურის და ინფორმაციის მოძიებას;

კომუნიკაციის უნარი.

სტუდენტი შესძლებს: კვლევის შედეგების პრეზენტაციას ზეპირი და წერილობითი სახით; ბენეფიციართა ანკეტირებას და გამოკითხვის სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით კომუნიკაციას; პაციენტთან ურთიერთობას მისი უფლებების დაცვით; სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებას ჯანდაცვის სფეროში; კომუნიკაციას დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას ჯანდაცვის მენეჯმენტში.

ღირებულებები.

სტუდენტს გაცნობიერებული ექნება: მოქალაქეთა უფლებები და ვალდებულებითი სამართლებრივი უფლებები ჯანდაცვის სფეროში, ასევე პროფესიული ეთიკის ნორმები; ლიდერობისა და მოტივაციის როლი ბიზნესში; კონკურენციის მნიშვნელობა და გავლენა სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და ტარიფებზე; ინოვაციური ტექნიკის დანერგვის მნიშვნელობა ჯანდაცვაში; შესძლებს კონფლიქტებისა და სტრესების მართვას.

სწავლების ფორმები და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ჯანდაცვის მენეჯმენტის დამატებითი (MINOR) საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების შემდეგი ფორმებით: ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა (საშინაო დავალების მომზადება, გამოცდებისთვის მზადება), რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია, კონსულტაცია, გამოცდა (შუალედური, დასკვნითი).

ლექცია - წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს. იგი მსმენელისათვის გადაცემული საბაზო თეორიული ინფორმაციის საფუძველზე ქმნის საგნის შემდგომში დამოუკიდებლად შესწავლის წინაპირობას.

ჯგუფში/ჯგუფური მუშაობის მეთოდი აქტიურად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა და მიდგომების მოძებნა. ასევე, როდესაც საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. იგი საჭიროებს ისეთ უნარებს, როგორცაა მოსმენა, ინსტრუქციის დაცვა, უკუკავშირი, თანამშრომლობა, აზრის გაზიარება. ვინაიდან ჯგუფი რამდენიმე ადამიანს აერთიანებს, ჯგუფური მუშაობის დაწყებისას საჭიროა ჯგუფის მუშაობის წესების და ნორმების ჩამოყალიბება, რომელსაც ჯგუფის წევრები დაიცავენ; ეს ნორმები უნდა არეგულირებდეს ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას და ყველა წევრს თანაბარი მონაწილეობის საშუალებას უნდა აძლევდეს;

პრაქტიკული მუშაობა გულისხმობს სტუდენტების პრაქტიკულ მოქმედებებს, რომელიც ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე;

ელექტრონული რესურსით სწავლება გულისხმობს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ქსელის გამოყენებას სასწავლო პროცესში;

დისკუსია წარმოადგენს სასწავლო აქტივობას, როდესაც (როგორც წესი) ლექტორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სხვადასხვა წინადადების, მიდგომის, იდეის, პრობლემების გადაჭრის მეთოდების ჯგუფური განხილვა და ნიშნავს საწინააღმდეგო პოზიციების პოლემიკას, სხვადასხვა აზრის ზეპირ (იშვიათად წერით) გამოხატვას. დისკუსია მიმდინარეობს ლექტორსა და სტუდენტებს, ან უფრო იშვიათად, მხოლოდ სტუდენტებს შორის;

დებატები მსგავსია დისკუსიის, მაგრამ განსხვავდება მისგან სტრუქტურირების მაღალი ხარისხით. ეს მეთოდი გულისხმობს ისეთი თემის (საკითხის) განხილვას, რომლის მიმართ არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია (მოსაზრება) და სტუდენტთა დაყოფას ორ ჯგუფად ისე, რომ ერთი ჯგუფი მხარს უჭერს (წარმოადგენს) ერთერთ პოზიციას, ხოლო მეორე - საწინააღმდეგოს;

დემონსტრირება გულისხმობს დავალების, პროცედურის უშუალო შესრულებას, რასაც თან ლექტორის ახსნა-განმარტება ახლავს. დემონსტრაცია მოიცავს ზეპირ ახსნა-განმარტებას (ინსტრუქტაჟს) და კონკრეტული დავალების, ამოცანის კეთებას ფაქტების, პროცესებისა და კონცეფციების ახსნის მიზნით. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების სწავლებისას;

გონებრივი იერიში არის კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალური რაოდენობის იდეების გენერირება და განხილვა. გონებრივი იერიშის ყველა იდეა, ცხადია, რომ საბოლოო შედეგისათვის არ არის მნიშვნელოვანი; იდეების შეგროვების შემდეგ ხდება ამ იდეების დაჯგუფება პრიორიტეტების მიხედვით და რამოდენიმე ყველაზე ღირებული იდეის გამოკვეთა;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;

შემთხვევის ანალიზი (Case study) – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს. რეალური ან სიმულირებული სიტუაციის (შემთხვევის) განხილვის გზით სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და ქეისის მიზნიდან გამომდინარე, ამზადებენ პასუხს;

წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა შესაძლებელია ხორციელდებოდეს მასწავლებლის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად. არსებობს წიგნზე მუშაობის სხვადასხვა ხერხები: კონსპექტირება, ტექსტის გეგმის შედგენა, ტესტირება, ციტირება, ანოტაცია, რეცენზია, ცნობის შედგენა, ფორმალურ-ლოგიკური მოდელის შედგენა;

სავარჯიშო გულისხმობს გონებრივი და პრაქტიკული აქტივობების (სამუშაოების) მრავალჯერად გამეორებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნის ან განვითარების მიზნით. თავისი ხასიათით სავარჯიშო შეიძლება იყოს ზეპირი, წერითი, გრაფიკული და სასწავლო-შრომითი: **ზეპირი სავარჯიშო, წერითი სავარჯიშო, გრაფიკული სავარჯიშოები;**

ინდექცია გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, კერძო ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული;

დედექცია გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ არის მიმართული;

ანალიზი გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რითაც მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;

სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

შეფასების სისტემა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (21.12.2004) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

❖ **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91%–100%;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90 %;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80 %;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 %.

❖ **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) **ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41–50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ ლ10 დღისა.

(F) **ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სემესტრულ შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამი და შეადგენს 100 ქულას, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

❖ **შუალედური შეფასებები - 60 ქულა.** შუალედური შეფასებების ქულათა ჯამს სემესტრის განმავლობაში სტუდენტი შემდეგ კომპონენტებში დააგროვებს:

- **აქტივობა 40 ქულა** - სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესრულებული სამუშაო, რეფერატის მომზადება, პრეზენტაცია, ქვიზი და სხვ., რომელიც კონკრეტდება სილაბუსში;
- **შუალედური გამოცდა -20 ქულა** - სტუდენტის მიერ შემენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შუალედური შეფასება, რომელიც ტარდება სემესტრში ერთხელ, მე-8 კვირაში. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში (კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი შესაბამის სილაბუსში). პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის შუალედური გამოცდისათვის შესაძლებელია განსხვავებული შეფასების ქულების დადგენა;

შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით.

❖ **დასკვნითი გამოცდა ფასდება - 40 ქულით.** დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.

- ✓ დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვილი აქვს არანაკლებ 21 ქულისა;
- ✓ დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 14 ქულა და მეტი;
- ✓ თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს 41-50 ქულას, სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- ✓ თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით;
- ✓ დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

დამატებითი გამოცდა

- ✓ სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ;
- ✓ უარყოფითი სემესტრული შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ხელმეორედ გაივლის სასწავლო კურსს, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან.

სტომატოლოგიის ფაკულტეტი

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სტომატოლოგია.

სპეციალობა : სტომატოლოგია.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : დიპლომირებული სტომატოლოგი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულთა სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნასა და კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობას პირის ღრუს ორგანოების და ყბა-კბილთა სისტემის დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

პროგრამის მიზანია აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგები, რომლებიც შეძლებენ შემდგომ პროფესიულ განვითარებას, კერძოდ, რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებას, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) კურსის გავლას, უმცროს ექიმად მუშაობას ან კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროებში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

პროგრამა მიმართულია:

- მისცეს კურსდამთავრებულს დარგობრივ სფეროში სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საბაზისო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების საფუძვლების ცოდნა;
- გამოუმუშავოს ზოგადი კლინიკური უნარ-ჩვევები;
- მისცეს დარგის მეთოდოლოგიისა და პროფესიული ეთიკის ცოდნა;
- გამოუმუშავოს უწყვეტი სამედიცინო განათლების მოტივაცია;
- გამოუმუშავოს დამოუკიდებლად სამედიცინო ინფორმაციის მოპოვების და კრიტიკულად შეფასების უნარი;
- გამოუმუშავოს მომავალ ექიმებს პაციენტის პატივისცემა, მათი ინტერესების გათვალისწინების უნარი მიუხედავად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა;
- უზრუნველყოს სამედიცინო კადრების მზადება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნისა და ტექნოლოგიური წინსვლის შესაბამისი სამედიცინო განათლებით.

სწავლის შედეგი :

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები, ბიონაერთები, კლასიფიკაცია და მეტაბოლიზმი; ნივთიერებათა ცვლის პროცესები და ციკლები ადამიანის ორგანიზმში;
- ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილოვანი სტრუქტურები;
- პირის ღრუს ორგანოთა და კბილების ემბრიოლოგია, ანატომია, პათოლოგიური ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია, პათოლოგიური ფიზიოლოგია.
- ბავშვებისა და მოზრდილთა ყბა-სახის მიდამოს ანთებადი და არაანთებადი, მაგარი და რბილი ქსოვილის, სიმსივნური დაავადებების, ორთოპედიული და ტრავმული დაზიანებების, სახის მიდამოს პერიფერიული ნერვული სისტემის, სპეციფიური, ინფექციური, ალერგიული და სისტემური დაავადებების ფონზე მიმდინარე ცვლილებები, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოსტიკა, დიფ.დიაგნოსტიკა, კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის მეთოდები;
- ყბა-კბილთა სისტემის დაავადებების ინსტრუმენტული გამოკვლევის მეთოდები;
- ზოგადი და ადგილობრივი გაუტკივარების სახეები, ჩვენებები, გართულებები და რეანიმაციის პრინციპები, საანესთეზიო საშუალებები, მათი შერჩევის პრინციპები;
- მკურნალობის მეთოდები/პროთეზირება; ყბა-სახის ადგილობრივი პლასტიკის საფუძვლები, ნაკერების დადების ტექნიკა. ბავშვთა ასაკში კბილების რესტავრაცია და სარესტავრაციო მასალების კლასიფიკაცია. ორთოდონტია, ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები და ბავშვთა პროთეზირება. ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების მკურნალობა სხვადასხვა ტიპის აპარატების დახმარებით.
- ბავშვთა ასაკის ენის, ტუჩების ანომალიები, მკურნალობის მეთოდები. ბავშვთა ასაკში პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და ყვეთნის კიბოსწინარე დაავადებები, კიბო, ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიფ.დიაგნოსტიკა, მკურნალობის მეთოდები. ბავშვთა და მოზრდილთა ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები, კლასიფიკაცია, თანდაყოლილი განვითარების მანკები;
- ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგიური სამსახური და დაავადებათა პროფილაქტიკა. ჰიგიენური ღონისძიებები. პათოლოგიათა ხარისხის განსაზღვრის საშუალებები (ინდექსები);
- ცოცხალი ორგანიზმის სისტემები, მისი შემადგენელი ერთეულები, განვითარების თავისებურებები, ქსოვილები, ფუნქციები, მათი ურთიერთკავშირი;
- ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანატომიური, პათ.ანატომიური, ფიზიოლოგიური, პათ.ფიზიოლოგიური თავისებურებები;
- ადამიანის ქსოვილებში მიმდინარე ძირითადი ბიოქიმიური პროცესები;
- ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესები, მეტაბოლიზმი;
- ძირითადი თერაპიული და ქირურგიული დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური მიმდინარეობა და მკურნალობის მეთოდები;
- ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდები;
- ძირითადი თერაპიული და ქირურგიული დაავადებების მკურნალობის მეთოდები;
- დარგის მარეგულირებელი და საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტების ცოდნა;
- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ცოდნა;
- სტომატოლოგიური საქმიანობის ორგანიზაციის ფორმები, სტრუქტურა და სახეები;
- ადამიანის ფსიქოლოგია და მისი თავისებურებები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ავადმყოფის გამოკვლევა: ანამნეზის შეკრება, ობიექტური გამოკვლევა, პერკუსია, პალპაცია, გამოკვლევის მეთოდების დემონსტრირება;
- ჭრილობის დამუშავება, პრემედიკაციის ჩატარება, ასისტირება თერაპიული, ორთოპედიული და ქირურგიული მანიპულაციების ჩატარების დროს;
- ავადმყოფის გამოკვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები. პირის ღრუს პათოლოგიების დიფერენცირება. დაზიანებების ხარისხის განსაზღვრა. ინდექსების განსაზღვრა. ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება. ფუნქციური სინჯებისა და მეთოდთა ჩატარება ჩვენების მიხედვით. ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების დანიშვნა ჩვენების მიხედვით და მიღებული შედეგების ანალიზი.
- მკურნალობის სქემის შემუშავება. სახის მიდამოს აღდგენითი და პლასტიკური მეთოდების განსაზღვრა;
- კარიესული და არაკარიესული დაავადებების დიაგნოსტიკა და სამკურნალო სქემის შემუშავება. ბლესის კლასიფიკაციის მიხედვით კარიესულ დეფექტების დამუშავება ფანტომებზე. პულპიტების, პერიოდონტიტების, პაროდონტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დიაგნოსტიკა და სამკურნალო გეგმის შემუშავება. მკურნალობის შემდგომი გართულებების პრევენცია;
- არაკარიესულ დაავადებათა სამკურნალო მანიპულაციების ჩატარება. პირის ღრუს ლორწოვან გარსზე პათოლოგიური კერის მედიკამენტური დამუშავება, გაუტკივარება, სამკურნალო საშუალებების აპლიკაცია, რბილი და მაგარი ნადებების მოცილება კბილიდან, პირის ღრუს მედიკამენტური დამუშავება საირიგაციო ხსნარების საშუალებით;
- საბჟენ-სარესტავრაციო მასალათა შერჩევა, დამზადება და დაბჟენა ფანტომებზე, ექიმის ასისტირება.
- ბავშვთა ასაკის ენის, ტუჩების ანომალიების მკურნალობის მეთოდების განსაზღვრა. პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და ტუჩის წითელი ყაეთნის დაზიანებების დიფერენცირება და დიაგნოსტიკა;
- ბავშვთა ასაკის კბილების რესტავრაციისათვის მასალის შერჩევა. ოსტეოპლასტიკურ მასალათა გამოყენება პაროდონტის დაავადებათა ქირურგიული და თერაპიული მკურნალობის დროს.
- პროთეზირებისათვის მომზადება და მასალების შერჩევა. ანაბეჭდის აღება, საპროთეზო მოდელების დამზადება. ანტროპომეტრიული გაზომვა. ბავშვთა ასაკის ორთოდონტიული და ქირურგიული კომპლექსური მკურნალობის გეგმის შემუშავება. ორთოდონტიული აპარატების შერჩევა. რენტგენოლოგიური კვლევის ფორმის შერჩევა და შედეგების ანალიზი;
- კონსტრუქციების მორგება;
- გართულებების მართვა;
- თერაპიული და ქირურგიული ავადმყოფების ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდების ანალიზი. ქსოვილოვანი პრეპარატების მომზადება და მიკროსკოპული ანალიზი, პათოლოგიური ცვლილებების ამოცნობა;
- თერაპიული და ქირურგიული ავადმყოფების გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დიფ.დიაგნოზის ჩატარება და დიაგნოსტიკა;
- დიაგნოზის საფუძველზე მკურნალობის ტაქტიკის და სქემის შემუშავება;
- სამკურნალო და პროფილაქტიკური მანიპულაციების ჩატარება;
- ლაბორატორიული კვლევის ძირითადი მეთოდების ტექნიკური შესრულება და შედეგების რეგისტრაცია;
- პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის განსაზღვრა.

3. დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ლაბორატორიული ანალიზების საფუძველზე ორგანიზმში მიმდინარე დარღვევების დადგენა, დაზიანების ხარისხის კლასიფიცირება;
- კონკრეტული სიტუაციიდან და დიაგნოზიდან გამომდინარე მკურნალობის გეგმის შემუშავება და სამკურნალო საშუალების რელევანტურად დანიშვნა;
- საანესთეზიო საშუალების რელევანტურად და უსაფრთხოდ გამოყენება;
- ანამნეზისა და გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება და დიაგნოზის დასმა.
- მორფოლოგიური მონაცემების საფუძველზე დაზიანების ხარისხის განსაზღვრა;
- სიტუაციის შეფასება და შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების განსაზღვრა;
- გამოყენებული ლიტერატურული წყაროების კრიტიკულად შეფასება, დასკვნების გაკეთება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- პროფესიულ საკითხებზე ეფექტური ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია;
- ლათინურ ენაზე სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნა და პროფესიულ წრეებში წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია;
- აზრის სწორად შეჯერება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა;
- პაციენტის ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების გათვალისწინებით მასთან ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, ანამნეზის მოგროვება და წერილობითი ფორმით რეგისტრაცია;
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- მიზნობრივად ინფორმაციის მოძიება, შენახვა და მისი რელევანტურად გამოყენება.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებული:

- შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის მართვას რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- შეძლებს საკუთარი სწავლის შეფასებას და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრას;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით შეძლებს მოიძიოს ინფორმაცია და გაიმდიდროს ცოდნა;
- შეგნებული ექნება უწყვეტი სტომატოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა.
- შეაფასებს საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს და შეძლებს ცოდნის გაფართოებას საჭირო მიმართულებით.

6. ღირებულებები

- ჯანმრთელობის პრობლემის გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში მისი შეფასება;

- ჯანდაცვის ხელშეწყობი ღონისძიებების აუცილებლობა და მასში მონაწილეობის მიღების სურვილი;
- ჰიგიენური ნორმების დაცვის აუცილებლობა ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და დაავადებების პრევენციისათვის;
- საკუთარი თავისა და სხვების დამოკიდებულების შეფასება პროფესიულ საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და კოლეგებთან გაზიარება.
- ღირებულებათა სისტემის გათვალისწინებით საკუთარი კომპეტენციის არეალის განსაზღვრა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში მუშაობა;
- პროფესიული ეთიკის ფარგლებში პაციენტის ინტერესების და კონფიდენციალურობის დაცვა;
- მკურნალობის დროს საექიმო ეთიკის ნორმების დაცვა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვა პროფესიული საქმიანობის წარმოების პროცესში;
- სტომატოლოგიური სამსახურის აუცილებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება/აღდგენისა და პროფილაქტიკისათვის;
- მონაწილეობის მიღება სტომატოლოგიის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში არის 5 წლიანი. შედგება ათი სემესტრისაგან. სწავლება ხუთი წლის განმავლობაში მოიცავს 300 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტი. წელიწადში 60 კრედიტი.

შეფასების სისტემა: შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (**A**) **ფრიადი** – მაქსიმალური შეფასების 91%–100%;
- ა.ბ) (**B**) **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) (**C**) **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (**D**) **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (**E**) **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

ბ.ა) (**FX**) **ვერ ჩააბარა**– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (**F**) **ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

შუალედური შეფასებების 60 ქულიდან 40 ქულა განსაზღვრულია **შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:**

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

- ლაბორატორიული სამუშაო;
- ალბომის წარმოება;
- ბლიც გამოკითხვა;
- ანალიზი;
- ქვიზი;
- ქეისი.

შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

20 ქულა განსაზღვრულია შუალედურ გამოცდაზე.

შუალედური გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

დაკვნიტი გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

• საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია.

სპეციალობა: ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამა მიზნად ისახავს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც ეცოდინებათ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე თეორიები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები, ფიზიკური დატვირთებისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის მეთოდები, ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების გავლენა სპორტსმენის ორგანიზმზე, ტრავმების პრევენცია, პირველადი დახმარების აღმოჩენა სპორტული ტრავმების დროს, რეაბილიტაციის პროცესის მართვა, სპორტსმენების კვების პრინციპები, კინეზოკორექციული ღონისძიებები და სარეაბილიტაციო საშუალებები. შეეძლებათ კომპეტენტურად წარმართონ პრაქტიკული საქმიანობა ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში, შეიმუშაონ ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო და სარეაბილიტაციო პროგრამები, დაავადებათა პროფილაქტიკისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად შეიმუშაონ და რელევანტურად გამოიყენონ პრაქტიკული რეკომენდაციები, შეაფასონ ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობა დატვირთვებისა და დასვენების პერიოდში.

სწავლის შედეგი:

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე თეორიები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები;
- ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანატომიური, ფიზიოლოგიური, პათ.ფიზიოლოგიური თავისებურებები, ორგანიზმის ქსოვილოვანი სტრუქტურები;
- ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესები, მეტაბოლიზმი;
- ფიზიკურ ვარჯიშებთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ფაქტორები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- გადაღლისა და მის შემდგომ პერიოდში ორგანიზმში მიმდინარე ფუნქციური ცვლილებები, მათი აღდგენის გზები და საშუალებები;
- ტრავმატოლოგიის ძირითადი დებულებები. ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და დაზიანების პირველადი დახმარება.
- ზოგადი და სპორტის ჰიგიენური ნორმები და მოთხოვნები;
- მოძრაობის კინემატიკური მახასიათებლები და ცალკეული მოძრაობების ანალიზის თანამედროვე მეთოდები.
- ადამიანის ორგანიზმზე და მის სპორტულ შედეგებზე დოპინგის ზემოქმედება და მათი დეტექციის გზები;
- ფიზიოთერაპიის სახეები და თავისებურებები, ფიზიოთერაპიული პროცედურების დანიშვნის ჩვენებები და უკუჩვენებები.

- სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების აქტუალური საკითხები და თავისებურებები, ფსიქიკური პროცესების ანალიზი, ფსიქო-ფიზიკური ძალების შენარჩუნება - აღდგენის თავისებურებები.
- ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის ინდივიდუალური სტრატეგიები;
- სპორტსმენისა და არამოვარჯიშე ადამიანის კვების რეჟიმის განსაზღვრა, რაციონალური და ბალანსირებული კვების ძირითადი პრინციპები, მათი შეფასების მეთოდები.
- მასაჟის ფორმები და სახეები, მათი მნიშვნელობა კუნთების ტონუსის შენარჩუნებისათვის, ორგანიზმზე მასაჟის მექანიზმის ზემოქმედება.
- ინტენსიური წვრთნისა და დასვენება-აღდგენის პირობებში სპორტსმენთა ჯანმრთელობის აღდგენისა და განმტკიცების მეთოდები.
- სხვადასხვა ნიშნით სამკურნალო ვარჯიშის კლასიფიკაცია და ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშის კლინიკური და ფიზიოლოგიური მნიშვნელობა;
- ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და დატვირთვის ზემოქმედებით ფიზიკური თვისებებისა და შესაძლებლობების განვითარება.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სპორტის სახეობებისა და სარეაბილიტაციო ვადების მიხედვით სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსაზღვრა და წარმატებით განხორციელება;
- ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების მეთოდების განსაზღვრა, სხვადასხვა დაავადებებისა და დაზიანების დროს სამედიცინო რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა;
- ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და მკურნალობის ტაქტიკის არჩევა;
- ანამნეზისა და ანალიზების საფუძველზე ტრავმული დაზიანებების დროს პირველადი დახმარების და პრევენციის სქემის შემუშავება;
- სხვადასხვა სამედიცინო და ასაკობრივ ჯგუფებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფიზიკური თვისებების განვითარებისათვის საჭირო საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება;
- მოზარდების ასაკობრივი, სქესობრივი, ფიზიკური და ფუნქციური შესაძლებლობების გათვალისწინებით სპეციალური დატვირთვის დარეგულირება და მათი ინტენსივობის განსაზღვრა;
- სამკურნალო ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა და შედეგების შეფასება;
- ინოვაციური მეთოდებით განსაზღვროს ფიზიკური ვარჯიშებისა და სპორტის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, მისი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები და შეიმუშავოს სპეციალური ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი.
- ფიზიკურ და კოგნიტურ განვითარებაში დარღვევების მქონე პირების საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმის შემუშავება;
- საწვრთნო, აღმდგენი და ჰიგიენური მასაჟის ჩატარება;
- სპორტსმენის რაციონში საკვები ნივთიერებების ბალანსირებულობის განსაზღვრა;
- დაავადებათა პროფილაქტიკის ინდივიდუალური რეკომენდაციების შერჩევა და გამოყენება, პრევენციული ღონისძიებების სწორად დაგეგმვა, სამკურნალო-სარეაბილიტაციო საშუალებების დროული და უსაფრთხო გამოყენება;
- ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის მართვა კომპეტენციის ფარგლებში.

3. დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ლიტერატურული წყაროების და ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, კრიტიკული შეფასება და დასკვნის გამოტანა. პრობლემების გადაჭრის გზების განსაზღვრა.
- სიტუაციის შეფასება და შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების განსაზღვრა;
- სპორტულ - გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო საქმიანობის ანალიზი და შეფასება;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის განვითარების დინამიკისა და სხვა მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.
- აზრის სწორად შეჯერება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა.

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა.
- დასკვნებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან, მათ შორის კომუნიკაციის პრობლემის მქონე პირებთან.
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პრობლემურ საკითხებზე კონფერენციებში, სიმპოზიუმებში აქტიური მონაწილეობა და დასკვნის საჯარო წარდგენა.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- საკუთარი ცოდნისა და უნარების შეფასების და სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად გამოიმუშაოს ახალი ცოდნის მიღების მოტივაცია;
- საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა, სწავლის საჭიროების განსაზღვრა გარკვეული მიმართულებით.
- მიღებული ცოდნა გამოიყენოს პროფესიული საქმიანობის წარმოების პროცესში.

6. ღირებულებები

- გააცნობიერებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის როლს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და აღდგენის პროცესში;
- შეაფასებს საკუთარი თავისა და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან.
- ეცოდინება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამსახურის აუცილებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება/აღდგენისა და პროფილაქტიკისათვის;
- მონაწილეობას მიიღებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროს ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში.
- განსხვავებულ სიტუაციებში იმოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.
- გააცნობიერებს დარღვევების მქონე ადამიანების სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელობას.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: საბაკალავრო სწავლება მოიცავს 240 კრედიტს, 4 სასწავლო კურსს, რომელიც შედგება რვა სემესტრისაგან. სემესტრში 30 კრედიტი. წელიწადში 60 კრედიტი.

შეფასების სისტემა: შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91% –100%;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

შუალედური შეფასებების 60 ქულიდან 40 ქულა განსაზღვრულია **შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:**

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- ალბომის წარმოება;
- ბლიც გამოკითხვა;
- ქვიზი;
- ანალიზი;
- დისკუსია;
- დასწრება, აქტიურობა პრაქტიკაზე;
- პრაქტიკის დღიურის წარმოება.

შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

20 ქულა განსაზღვრულია შუალედურ გამოცდაზე.

შუალედური გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

დასკვნითი გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება:

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა -60 ქულა;
- საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა- 40 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, საბაკალავრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 21 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით.

საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

შეფასების კომპონენტები:

1.საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა - ფასდება 60 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- თემის სიახლე და აქტუალურობა - 10 ქულა;
- საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა;
- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;
- პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა -20 ქულა;
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

2. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა - ფასდება 40 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება -10 ქულა;
- პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა;
- პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;
- კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი და საბაკალავრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს.

•სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია.

სპეციალობა: ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია: პუნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მოამზადოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრები ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, რომელსაც ექნება ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება დაფუძნებული სფეროს თანამედროვე თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებზე, შეეძლება კომპეტენტურად წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.
პროგრამა მიმართულია:

- მისცეს კურსდამთავრებულს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საბაზისო და სოციალური მეცნიერებების სიღრმისეული ცოდნა;
- შეასწავლოს სიღრმისეულ და სისტემურ დონეზე ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე მიდგომები, სტრატეგიები, ტექნიკური საშუალებები და მეთოდები, რაც მისცემს მას საშუალებას ცალკეული თუ კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის შეიმუშაოს ინდივიდუალური და ორიგინალური სარეაბილიტაციო პროგრამები;
- შეასწავლოს კომპლექსური მონაცემების გათვალისწინებით სარეაბილიტაციო სტრატეგიების კონკრეტული მოდელების შედგენა-რეალიზაცია;
- განუვითაროს სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო საქმიანობის მრავალმხრივი ანალიზის, მონაცემების სინთეზის და შეფასების უნარი;
- გამოუმუშავოს საკუთარი ცოდნისა და უნარების კრიტიკული შეფასების და სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად, ახალი ცოდნის მიღების მოტივაცია.

სწავლის შედეგი:

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს:

- ექნება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საბაზისო და სოციალური მეცნიერებების სიღრმისეული ცოდნა და გააცნობიერებს შესწავლილ თეორიებსა და პრინციპებს;
- ეცოდინება სიღრმისეულ და სისტემურ დონეზე ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე მიდგომები, სტრატეგიები, ტექნიკური საშუალებები და ინოვაციური მეთოდები, სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსაზღვრა, სპორტსმენთა და არასპორტსმენთა ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარებისა და ფუნქციური შესაძლებლობების განვითარების კანონზომიერებები;
- ეცოდინება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობების კლასიფიკაცია, შეფასების სკალები, ფსიქო- სოციალური რეაბილიტაციის მოდელები. სხვადასხვა დარღვევებისა და პათოლოგიების მქონე პირთა ფიზიკური რეაბილიტაციის მიმდინარეობის თავისებურებები. ოკუპაციური თერაპიის ძირითადი საშუალებები, მეთოდები და მათი ჩატარების თავისებურებანი;
- გააცნობიერებს ტკივილის მართვის ბიომარეგულირებელ პრინციპებსა და ალტერნატიული ზემოქმედების შესაძლებლობებს;

- ეცოდინება ღრმად და სისტემურად ტრამვა და ტრავმატიზმი, პოლიტრამვა, განვითარების ეტაპები. სპორტსმენთა ტრავმული დაზიანებების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების მეთოდები, ტრავმული დაზიანებების მიმდინარეობის თავისებურებები, ტრავმის შემდგომ პერიოდში ფიზიკური მეთოდებით რეაბილიტაციის პრინციპები; ტრავმული დაზიანებების შესაძლო გართულებები და მათი პრევენცია;
- სისტემურად ეცოდინება ადამიანის ორგანოების მორფოლოგიური შენების კანონზომიერებები და თავისებურებები, სხეულის მდგომარეობაზე და მოძრაობაზე მოქმედი გარეგანი და შინაგანი ძალების შესახებ თეორიები. უჯრედში მიმდინარე პროცესების მოლეკულური მექანიზმები. მოლეკულურ დონეზე კუნთის ბოჭკოს შემკუმშველი მექანიზმის თანამედროვე მეთოდები.
- ექნება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში კვლევის მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიების სისტემური ცოდნა და უახლესი მეცნიერული მიღწევების გამოკვეთის უნარი.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- სპორტის სახეობების სპეციფიკიდან გამომდინარე ადამიანის სხეულის მდგომარეობის ანატომიური თავისებურებების განსაზღვრა, ჩამოყალიბება.
- მოტორული და ფუნქციური უნარშეზღუდულობის სიმძიმის შეფასება, მოძრაობათა სიფართისა და შესაძლებლობის განსაზღვრა;
- ნივთიერებათა ცვლასა და კუნთოვან სისტემაზე ჰიპოდინამიის გავლენის განსაზღვრა;
- სხვადასხვა დაავადებების, დაზიანებებისა და ტრავმების დროს სამედიცინო რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა;
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, სპორტის სახეობებისა და სარეაბილიტაციო ვადების მიხედვით, ინდივიდუალური სარეაბილიტაციო და სპეციალური სავარჯიშო ღონისძიებების განსაზღვრა და წარმატებით განხორციელება;
- სამკურნალო ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა, სამედიცინო და ფიზიკური სარეაბილიტაციო საშუალებების მიზანმიმართული გამოყენება, ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობების აღდგენა და ავადმყოფის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობების ოპტიმალურ დონესთან მიახლოება.
- ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა, გადახრების ადრეული დიაგნოსტიკა და ცვლილებებზე დაკვირვება.
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე რელევანტური მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.
- სამკურნალო-სარეაბილიტაციო საშუალებების დროული და უსაფრთხო გამოყენება.

3. დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში მეცნიერული გამოკვლევების მრავალმხრივი ანალიზი, კომპლექსური მონაცემების სინთეზი, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების განზოგადება და პრობლემათა გადაჭრის გზების შერჩევა;

- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო საქმიანობის მრავალმხრივი ანალიზი, მონაცემების სინთეზი და შეფასება;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის განვითარების დინამიკისა და სხვა მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.
- რთული, არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის გაკეთება;
- უახლესი თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ინოვაციური სინთეზი.

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- სხვადასხვა სიტუაციებში და განსხვავებულ საკითხებზე განახორციელოს წერილობითი და არგუმენტირებული ზეპირი კომუნიკაცია აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან.
- დასკვნებსა და მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან, მათ შორის კომუნიკაციის პრობლემის მქონე პირებთან.
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პრობლემურ საკითხებზე დისკუსიებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში აქტიური მონაწილეობა და დასკვნის საჯარო წარდგენა.
- პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკება, კონფლიქტების შემთხვევაში სწორი პროფესიული პოზიციის დაკავება.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- საკუთარი ცოდნისა და უნარების კრიტიკული შეფასების და სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად მოწინავე მიდგომების და ახალი ცოდნის მიღების მოტივაცია;
- შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- საკუთარი სწავლის პროცესის სტრატეგიული დაგეგმვა, სწავლის საჭიროების განსაზღვრა გარკვეული მიმართულებით.

6. ღირებულებები

- ჯანმრთელობის პრობლემის გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში მისი შეფასება;
- ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებების აუცილებლობა და მასში მონაწილეობის მიღების სურვილი;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში არსებული თავისი და სხვისი ღირებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;
- სარეაბილიტაციო სტანდარტების დაცვის აუცილებლობა ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და აღდგენისათვის;

- ღირებულებათა სისტემის გათვალისწინებით საკუთარი კომპეტენციის არეალის განსაზღვრა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში მუშაობა;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამსახურის აუცილებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება/აღდგენისა და პროფილაქტიკისათვის;
- მონაწილეობას მიიღებს დარგის ინოვაციური მეთოდების დამკვიდრებაში და პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში.

შეფასების სისტემა: მაგისტრანტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

შეფასების სისტემა: შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91%–100%;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასებების 60 ქულიდან 40 ქულა განსაზღვრულია შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია;
- ბლიც გამოკითხვა;
- ანალიზი;
- დისკუსია;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
- ქვიზი;
- დასწრება, აქტიურობა პრაქტიკაზე;
- პრაქტიკის დღიურის წარმოება.

შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. 20 ქულა განსაზღვრულია შუალედურ გამოცდაზე.

შუალედური გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

დასკვნითი გამოცდა: ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:

